ეროვნული ბიბლიოთეკა

თენგიზ ცეცხლაშვილი

ბაცრაშვილი იმედები



ეროვნული
ბიბლიოთეკა

თენგიზ ცეცხლაშვილი

გაცრუებული იმედები

ბათუმი
2012

ჯერ კიდევ ადრე 2004 წლის ზაფხულში წიგნი „გიორგობიდან გიორგობამდე“, მიუძღვენი „ვარდების რევოლუციის“ პერიოდს. ეს წიგნი პირადად ჩემს შთაბეჭდილებებზე იყო აგებული და ამიტომაც მას სრულყოფილობის პრეტენზია არ ჰქონდა. ვცდილობდი საფუძვლიანად წარმომეჩინა ყველა იმ ადამიანის ღვაწლი, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს აჭარაში არსებულ დიქტატურის დამხობაში.

ამ წიგნის გამოცემის თაობაზე ყველა ჩემმა თანაგუნდელმა იცოდა და წიგნიც მზად იყო გამოსაცემად, მაგრამ, სამწუხაროდ, აჭარაში შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა მაიძულა ის არ გამომეცა და გამეგრძელებია, რომელსაც სათაურიც შეუცვალე და – „გაცრუებული იმედები“, ვუწოდე, მინდა შემოგთავაზოთ ამ არ გამოცემული ნაშრომის მცირე ამონარიდი...

ავტორი

მადლობას ვუხდი წიგნზე მუშაობის დროს გაწეული დახმარებისთვის გაზეთ „ბათუმელების“ მთავარ რედაქტორს – ქალბატონ **ეთერ თურაძეს**.

გამოიცა მეგობრების თანადგომით.

ვარდების რევოლუციის შემდეგ მთელი იანვარი დედაქალაქში გავატარე, სადაც ჩემს მორიგ წიგნზე ვმუშაობდი. 19 იანვარის საღამოს ტელეარხების საშუალებით გაშუქდა რა სოფელ გონიოში განვითარებული მოვლენები, როგორ ააფრიალეს გამგეობის შენობაზე გონიოელებმა ჯვრიანი დროშა და როგორ დაარბიეს ამ აქციის მონაწილენი. ჩემს აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. თბილისში ხშირად კითხვებს მისვამდნენ – რასვაპირებდით აჭარაში, რატომ ხმას არ ვიღებდით. გგგვახსენებდნენ რომ შევარდნაძე წავიდა და ახლა აბაშიძის რიგიც დადგა. საპასუხოდ მათ ვპასუხობდი: რომ აბაშიძის წასვლის დროც მალე დადგებოდა.

ჩემთვის სასიხარულო იყო სოფელ გონიოში დაწყებული მოვლენები, გონიო ხომ ჩემი აწ გარდაცვლილი ბიძის, დიდი მეგობრის – სერგო კეჟერაძის მშობლიური სოფელი გახლდათ. ამ სოფელთან ბავშვობიდანვე ვიყავი დაკავშირებული. აქ ბევრი ნათესავი და მეგობრები მყავს. იმავე საღამოს განვაცხადე შვილებთან: – ჩემი ადგილი ბათუმში იყო და უნდა წავსულიყავი (ორთავე ვაჟი, დათო და არჩილი თავიანთი ოჯახებით თბილისში იყვნენ გადახვეწილი ლუკმა პურის საშოვარზე და ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდნენ, თუმცა აქ გასაკვირი არაფერია, რადგან ანალოგიურ დღეში დღეს ათასობით ოჯახია საქართველოში. – ბათუმში სამუშაოს სად ნახავ კაცი. ფაბრიკა–ქარხნები სულმთლად დაინგრა, იქ არსებული მანქანა–დანადგარები კი ჯართად აქციეს და საზღვარგარეთ გაყიდეს.

მეორე დღესვე გავემგზავრე ბათუმში წასვლის წინ ჩემი მეგობარი – სიონის ტაძრის მოძღვარი მამა ამი-

რანი (ამირანაშვილი) მოვინახულე, მან გზა დამილოცა. მამა ამირანთან ვარდების რევოლუციის წინა დღეებშიც დავდიოდი, მიტინგების წინ სულ მლოცავდა, რაც კარგად მქონდა დაცდილი.

ბათუმში ჩასვლისას ჩემი დიდი ხნის მეგობარი – ახალსოფლელი არსენ სურმანიძე მოვიკითხე შინაურებში, გავიგე თბილისში ყოფილა გახიზნული ოჯახიანად. მივხდი რა უბედურებაც ტრიალებდა მის თავზე, ის ერთ დროს ასლან აბაშიძის ტუსაღი იყო. განსხვავებული აზრისათვის ორი წელი იჯდა ბათუმის ციხეში, შემდეგ იძულებით აჭარის ფარგლებიც დატოვა, რის გამოც საგრძნობლად შეერყა ჯანმრთელობა, იგი დღესაც გულს უჩივის... მობილური ტელეფონით ვცადე დაკავშირება, მაგრამ გამორთული ჰქონდა.

ჩასვლისთანავე გაზეთი „ბათუმელები“ შევიძინე,რადგან დანარჩენ ადგილობრივ გაზეთებიდან შედარებით მასში განსხვავებული აზრის წაკითხვა შეიძლებოდა, მართლაც ვიხილე სტატია ახალი ორგანიზაციის შექმნის თაობაზე სათაურით – „ერთიანობის დარბაზი“, რომელსაც იოსებ ხიმშიაშვილის სურათი ჰქონდა დართული, მასში ნათქვამი იყო, რომ – „ერთიანობის დარბაზის“ მთავარი მიზანი აჭარაში დემოკრატიული გარდაქმნებისათვის საზოგადოებრივი აზრის მომზადება, პოლიტიკური პროცესების მშვიდობიანად წარმართვა და ადგილობრივი ხელისუფლების კონსტიტუციური გზით შეცვლაში აქტიური მონაწილეობა. საინიციატივო ჯგუფში იოსებ ხიმშიაშვილი, რამაზ სურმანიძე, ბიჭიკო დიასამიძე, რამაზ ფარტენაძე, მიხეილ მახარაძე, ზურაბ ქათამაძე, ელგუჯა მაკარაძე და სხვები იყვნენ გაერთიანებულნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ერთიანობის დარბაზის“ საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლები აჭარის ხელისუფლების შეცვლას გარდაუვლად მიიჩნევდნენ. თავად იოსებ ხიმშიაშვილი ხელისუფლების წარმომადგენელი იყო, მისი აზრით, აჭარაში კვლავ გრძელდება რეგიონის ერთპიროვნული მართვა, თავისუფალი სიტყვის დევნა და ცენტრის წინააღმდეგ მოსახლეობის განწყობის დამუშავება. აჭარის ხელისუფლება ძველებურად აგრძელებს ულტიმატუმის ენაზე საუბარს და მოვლენებს არ აძლევს რეალურ შეფასებებს. აქედან გამომდინარე გვრჩება შთაბეჭდილება, რომ აჭარის ხელისუფლება მის გარემოცვას ინფორმაციულ ვაკუმში აყენებს. დასაგმობია საკადრო პოლიტიკა. აჭარის ხელისუფლება დღესაც ვერ აკეთებს დასკვნებს. ყველასათვის ცხადია, რომ მათ უკან მაღალი თანამდებობის პირები დგანან. თეთრი ბილეთის მქონე ადამიანები ხელმძღვანელობენ შეიარაღებულ ჯგუფებს. ასეთი ხალხი წარმოადგენენ დღეს „აღორძინების“ სახეს.

სტატია რომ ჩავიკითხე, კიდევაც გამიხარდა და თანაც მეწყინა იმ მოტივით, რომ ჯერ კიდევ 13 იანვარს ბატონი იოსები თბილისში ეროვნული ბიბლიოთეკის შესასვლელ კარებში შემხვდა. მას თავისი გამოცემული წიგნები მოეტანა ბიბლიოთეკაში ჩასაბარებლად. მე კი იქ შევიარე ახალი საშვის გამოსაწერად. იოსები შესასვლელ კარებში შემხვდა. ჩემი დანახვა ძალზედ გაუხარდა „შენი თავი ღმერთმა გამომიგზავნაო“ მითხრა. წიგნები დავაბინავეთ ბიბლიოთეკაში, შემდეგ კი ის ლევან ბერძენიშვილთან შევიდა, მასაც გადასცა ერთი ეგზემპლარი საჩუქრად და ლევანიც გამაცნო. ჰოდა ვიფიქრე, თუ რამეს აყალიბებდა, რატომ არ გამიზიარა მეთქი. მითუმეტეს, რომ ჩემი ბოლონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროინდელი დამოკიდებულება ასლანის მიმართ იცოდა... მაგრამ ასეთ თემებზე მხოლოდ მეგობარი მეგობარს თუ გაესაუბრებოდა იმ პერიოდში... როდესაც მასთან ოფისში მივედი მემედ აბაშიძის გამზირის 50–ში, მისვლისთანავე საყვედური ვუთხარი, თუ ორგანიზაციის ჩამოყალიბებას აპირებდი – თბილისში რად არ მითხარი მეთქი. მან განმიმარტა, რომ მხედველობიდან გამომრჩა ამის თაობაზე შენთვის მეთქვა ყველაფერი, რადგან ხომ დაინახე, როგორ ვჩქარობდი და შენც თავადაც დაკავებული იყავი ახალი წიგნის გამოცემის თაობაზე და გამომცემლობაში მიგეჩქარებოდაო... შემდეგ სავარძელში მანიშნა ხელით დავმდჯარიყავი და მანაც გვერდით მოიკალათა, ,,ერთიანობის დარბაზის" შიდა სამზარეულო გამაცნო... მან მითხრა, რომ დამფუძნებელთა შეკრებამ აჭარის მოსახლეობის, განსაკუთრებით ქალაქის ინტელიგენციის გამოხმაურებამ, მხარდაჭერამ და თანადგომამ მოლოდინს გადააჭარბაო. აქ ალბათ ურიგო არ იქნება მოვიხსენიო ზოგიერთი მათგანი: პროფესორები ამირან კახიძე, თამაზ ფუტკარაძე, შოთა ზოიძე, კახაბერ სურგულაძე, რამაზ სურმანიძე, დავით გვიანიძე, მიხეილ ქამადაძე, ოთარ შაინიძე, დოცენტები – ზურაბ მიქელაძე, ზებურ ავალიანი, ავთანდილ ბეჟანიძე, ოთარ ცეცხლაძე, მხატვარი – ზურაბ ხაბაძე, მწერალი – ანზორ კუდბა, ექიმები – მამია ზოიძე, იუსუფ კორძაია, ლექტორი ანზორ სოლომონიძე, პედაგოგები – ნანა იორაშვილი, ნაზი მიქელაძე, ბადრი პაქსაძე, საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი პიროვნებები – ზურაბ ქათამაძე, თამაზ ცინცაძე, მიხეილ მახარაძე, გურამ თურმანიძე, გია ხაბაძე, ნოდარ ირემაძე, ბესიკ შაინიძე, ბადრი ღორჯომელაძე, ოთარ ფუტკარაძე და სხვები. ჩვენს მოძრაო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაში გაერთიანდნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ლიდერები – მაილო ჯაში, თემურ თურმანიძე, ზაზა დევაძე და სხვები. მეც იმ დღიდანვე გავწევრანდი „ერთიანობის დარბაზში“ და რიგით 82–ე წევრი გავხდი. რის შემდეგ ჩვენი აქტივობით ასეულობით წევრი გავაწევრიანეთ. ამ რიცხვმა შემდგომში დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში რვა ათასზე მეტი ადამიანს მიაღწია მოძრაობაში. დღითი დღე ვრწმუნდებოდი, რომ ადამიანებს არაფრის შიში არ ჰქონდათ, ისინი მზად იყვნენ სიცოცხლის ფასად დაეცვათ ქვეყნის ერთიანობა და ებრძოლათ აჭარაში გამეფებული რეჟიმის შესაცვლელად.

შემდგომში მოძრაობა „ჩვენმა აჭარამ“ თბილისში შეძლო ყველა ძალის გაერთიანება ერთ ოპოზიციურ მოძრაობად, სადაც სხვებთან ერთად სამოქალაქო მოძრაობა „ერთიანობის დარბაზიც“ შევიდა. ეს იყო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება. გაერთიანებული ოპოზიცია „ჩვენი აჭარის“ გამგეობის წევრებად იყვნენ არჩეულნი: – კობა ხაბაზი, ედუარდ სურმანიძე, თამაზ დიასამიძე, იოსებ ხიმშიაშვილი, ოთარ მიქელაძე, მერაბ ქიძინიძე, კახა მიქელაძე, ლევან ქამადაძე, ბეჟან გობაძე, ჯემალ ინაიშვილი, ნატო იმნაძე, ავთანდილ გადახაბაძე და არმაზ ახვლედიანი. გამგეობას ჰყავდა დარბაზი, რომლის სპიკერი იყო პროფესორი მიხეილ მახარაძე, ხოლო ვიცესპიკერი თამაზ ციცნცაძე. ამ გაერთიანებამ უდიდესი როლი შეასრულა ე.წ. რევოლუციის მომზადებაში. ამ გაერთიანების და მისი აქტივის საქმიანობის დეტალური ანალიზს აღარ გავაკეთებ, რადგან მასზე არაერთი სტატია და ნარკვევი დაიწერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმისათვის, რომ მკითხველს სრული წარმოდგენა შეექმნას იმაზე, თუ რა უსასტიკეს დიქტატურის ქვეშ უხდებოდა აჭარის მკვიდრთ ცხოვრება გთავაზობთ გაზეთებში „ბათუმელების“ და „აჭარა P.S.“–ში გამოქვეყნებულ სტატიებს.

იმ პერიოდში წარმოთქმული გაბედული სიტყვის ავტორები (რეჟიმის მამხილებლები) უმთავრესად გაერთიანებული ოპოზიცია „ჩვენი აჭარა“ და „დემოკრატიული აჭარის“ წევრები იყვნენ. პირველი მათგანის ავტორია კახა ცეცხლაძე, მეორე მათგანის კი რენა ფურცელიძე, მესამესი მზია თავართქილაძე. მათი აქ მოშველიება იმიტომაც გადავწყვიტე, რომ ისინი ზედმიწევნით ასახავდნენ იმ ოპოზიციურ აზრს, რომელთაც ჩვენი მოძრაობის წარმომადგენლები სრულიად ვიზიარებდით მას.

მივყვეთ სტატიების გაშუქებას:

მთამ თავისი სიტყვა უნდა თქვას.

„რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“, ეს შესანიშნავი აფორიზმი „ვეფხისტყაოსნისა“ ჩვენმა ხელისუფლებამ გამოიყენა, მაგრამ სხვანაირად. კერძოდ, იციან რომ არავინ შეარჩენს იმ მოპარულ მილიონებს, რომელიც ჩვენი ჯიბიდან ამოიღეს, გაგვძარცვეს და ეხლა კი დაიწყეს ხალხის მოქრთამვა. ფაქტები გინდათ? გეტყვით, სოფელში დანიშნეს ოთხ-ოთხ კაციანი აგენტურა (სხვას ვერაფერს დაარქმევ), რომლებსაც 45-დან 60 ლარამდე უხდიდნენ. ისმება კითხვა? საიდან თუ არა იმ მოპარული მილიონებიდან. ყოველდღე ტარდებოდა 5-დან 10 ათას კაციანი მიტინგები (კაცის თავზე 20 ლარი) გეკითხებით საიდან?

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენ ხომ აქამდე არ გქონდათ იგი, გზების გასაკეთებლად კერძოდ, სამარცხვინოდ ათი წელია კეთდება ბათუმი-ახალციხის გზა და არ დაადგა საშველი.

ჩვენ, ზემომთიანი აჭარა მოწყვეტილი ვართ ყოველგვარ ინფორმაციას, რომელსაც პრესა და ტელევიზია ჰქვია. მათი აზრით იგი ჩვენ არ გვჭირდება, ჩაგვირთეს აჭარის ტელევიზია, კი ბატონო მივესალმებით, მაგრამ მას ქართული ტელევიზია ჰქვია? ყველაფერი რუსული ფორმატით გადის, ერთფეროვანი და უაზრო, ეხლა ბატონმა ასლანმაც რუსულად დაიწყო საუბარი, გეკითხებით მთიელ კაცს ეს სჭირდება?

გეკითხებით – ის რაც თქვენ გააკეთეთ, სკოლები, ხიდები, გზები და გვაყვედრით, რა თქვენი გასაკეთებელი არ იყო? მახსენდება სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკი „ჭაში ჩავარდნილის არაკი“, როცა მგზავრს ამოიყვანს და მერე ისევ ჭაში ჩავარდება... მიდით და თქვენც ამდენ დაყვედრებას, დაანგრიეთ რაც ააშენეთ.

ისე გეტყვით, რომ თქვენი მოვალეობაა, სწორედაც ხალხს მიხედოთ, სკოლები ააშენოთ, ხიდები გააკეთოთ, გზები გაიყვანოთ, დროულად გასცეთ ხელფასი და პენსია, ხელი შეუწყოთ ხელოვნებისა და კულტურის აღმავლობას, გასცეთ სოციალურად დაუცველ ადამიანებზე დახმარებები, დაიცვათ მოსახლეობა კრიმინალებისაგან და არ დაუშვათ თავისუფლების შელახვა. რა ეს არაა თქვენი მოვალეობა, აბა ვისია, გეკითხებით?

სწორედ ამ ურთულეს პერიოდში მთაში მთიელმა უნდა თქვას თავისი სიტყვა, კმარა მოსყიდვები, კმარა ასეთი ხელისუფლება, კმარა ის რაც ხდება მთაში და ბარში, ჩვენ გვინდა ნორმალური ცხოვრება, მოგვეცით ამის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუალება, ნუ გვიმღვრევთ წყალს და თუ მაინც აამღვრევთ, მთიდან წამოსული ნიაღვარი წაგლეკავთ!

მტრის ხატი არ არსებობს!

ბევრი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე ფიქრები სიტყვებად მექცია და ჩემი გულის კი არა, სულის ტკივილი მომეტანა თქვენამდე.

სტუმარი ღვთისააო გვითქვამს ქართველებს, მაგრამ სიმართლე გითხრათ დაგვღალა ასლან აბაშიძის მეხოტბეების მიღებამ და მათზე მოსმენამ. აჭარა განა მარტო უნივერსიტეტი და სამშობიარო სახლია? ერთხელ მაინც გვსტუმრებოდნენ ჩვენც და ენახათ რა „აღორძინებულებიც“ ვართ სინამდვილეში.

მაშინ როცა აბაშიძემ და მისმა კრიმინალურმა გარემოცვამ ხალხის კუთვნილი მილიონები მიისაკუთრა, ჩვენ შუქს და პენსიას საკუთარი საინფორმაციო საშუალებებით დღეში შვიდჯერ გვაყვედრის და იმას ხშირად გვახსენებს, რომ ისაა ჩვენი „მამა-მარჩენალი“ და დამცველი. უფრო კი პირიქით, ხალხს ბრმა იარაღად გვიყენებს, ჩვენ ვიცავთ მას. ხელს ვუწყობთ ამ ავთვისებიანი სიმსივნეების ზრდას, რითაც ავტომატურად დამნაშავის ხელშემწყობნი გამოვდივართ. ეს კი ჩვენი შვილების წინაშე ჩადენილი გამოუსწორებელი დანაშაულია.

ეს ყველაფერი „დათა თუთაშხიიდან“ სურამის ეპიზოდს მაგონებს.

აბაშიძე წლების განმავლობაში არქიფოსავით გვირაბს გვათხრევინებს, რომ გაღმა იმედის ზარს მივუახლოვდეთ

და ჩამოვკრათ. მაღალმა ღმერთმა ალბათ ყველაფერი გაითვალისწინა და დედამიწა აჭარლების ხათრით გააჩინა მრგვალი. როგორც იქნა წრე დავარტყით დედამიწას გვირაბის თხრით და იმედის ზარს მივუახლოვდით.

გამოვფხიზლდეთ ხალხო, 10 ლარად ნუ მივეყიდებით აბაშიძეს, ნუ მივიღებთ მონაწილეობას მისი სკამისთვის ბრძოლაში, დროზე მოვეგოთ გონს, თორემ დარწმუნებული ვარ „ბაბუ, ბაბუს“ ძახილს არ გვაკმარებს და იმასაც გვეტყვის, ღმერთი დაივიწყეთ და ჩემზე ილოცეთო“.

მტრის ხატს, რომელსაც აბაშიძე და მისი გარემოცვა ქმნის, სინამდვილეში არ არსებობს. ჩვენ არ გვჭირდება მისი პრეზიდენტისა და ჩვენივე ქართველი ძმებისგან დაცვა. დაცვა სჭირდებათ მათ და ამისთვის დაგაფიქრათ. რადგან დიდი ხანია წაგვართვეს სახელი, გვარი, სინდისი და პიროვნული მეც, ამიტომ უფრო შესაფერისი იქნება სახელ-გვარის ნაცვლად თუ ასე მივაწერ. „ბაბუას ოპოზიციონერი შვილიშვილი – ნუთუ ისინი ქართველები არ არიან?

მავანნი გაიძახიან: აჭარაში ყველაფერი კარგად გვაქვს. აი, ხომ ხედავთ, ჩვენ მშვიდობა შევინარჩუნეთ, ჩვენთან აღმშენებლობაა. ვინ ჩამოთვლის იმ ქება-დიდებას, რაც გვესმის „აღორძინებისა“ და ადგილობრივი მთავრობის მისამართით, მაგრამ არ იკითხავთ, ვინ უკმევს გუნდრუკს მათ? ისინი, ვინც უსამართლოდ, უბრალოდ ადამიანების ხარჯზე კარგად არიან ფეხმოკიდებულნი. არ სურთ „ტკბილი ლუკმის“ დაკარგვა. ხალხს რა უჭირს არავინ კითხულობს. თითქმის ყველა დაწესებულება კორუფციის ჭაობშია ჩაფლული და ყოველივე ამის ფონზე გაიძახიან: აქ დემოკრატიაა, აქ ყველაფერი რიგზეაო. მათ

მიერ გაკეთებულ მნიშვნელოვან საქმეთაგან უმთავრესი ავიწყდებათ: არაჩვეულებრივად ეხერხებათ ყოველგვარი ბინძური მეთოდებითა და სისასტიკით გაუმკლავდნენ განსხვავებული აზრის მქონეთ (მაგალითების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს) მტრის ხატის შექმნა – ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იარაღია ჩვენი ხელისუფლებისა, ასეთმა მიდგომამ ერთი ოჯახის შვილებიც კი დაუპირისპირა ერთმანეთს. მერე რა, რომ მე ისე არ ვფიქრობ, როგორც შენ! რამ გაფიქრებინათ, რომ აუცილებლად ყველა ერთ აზრზე არ უნდა ვიყოთ? ძალიან დიდია დაწესებულებებში შიშის სინდრომი.

ხალხს ეშინია საღი აზრის გამოთქმის – ამაზე დიდი დიქტატურა რაღა გინდათ. ზოგიერთ დაწესებულებას სამარცხვინო ხელმძღვანელი ჰყავს, მაგრამ ამ ხელისუფლებას სჭირდება ასეთი ხელმძღვანელები. მერე რა, რომ ესა თუ ის პიროვნება მიუღებელია ამა თუ იმ თანამდებობისათვის – ის ბოლო დროს განვითარებული მოვლენებისას „გვერდში ედგა“ ხელისუფლებას, წლების მანძილზე მის ქება-დიდებაშია, ამიტომაც შეუცვლელია, ერთადერთია და განუმეორებელი. თუმცა, საზოგადოება ასეთ რამეს აღარ შეეგუება და ხვალ ხელისუფლებაში მოსულ ნებისმიერ ადამიანს კიდევ უფრო მეტი კრიტიკის თვალით შეხედავს, რომ მან იგივე შეცდომები აღარ გაიმეოროს.

ვფიქრობთ ამ სტატიებში ყველას გულისტკივილია გამჟღავნებული. რა თქმა უნდა იმის გამოკლებით 13 წლის მანძილზე რეგიონის რამდენ ოჯახს შეეხო ტირანის მსახვრალი ხელი”.

17 თებერვალს ჩემი აზრით, მოხდა მართლაც დიდი სენსაცია, ასეთ კომენტარს გავუკეთებდი გაზეთ „აჭარა

P.S.“-ში გამოქვეყნებულ სტატიას სათაურით „ღია წერილი ასლან აბაშიძეს!“ რომელსაც „დემოკრატიული სამართლიანობის პარტია“ და გაერთიანებული ოპოზიცია „ჩვენი აჭარა“ აქვეყნებდა. ეს იყო პირველი შემთხვევა გაზეთში მსგავსი შინაარსის პუბლიკაციის დაბეჭდვისა: აი ისიც:

ღია წერილი ასლან აბაშიძეს!

თითოეული სახელმწიფო მოღვაწის წინაშე დგება მომენტი, როცა მას ხალხისაგან მოეთხოვება პასუხის გაცემა განვლილ საქმიანობაზე. აჭარაში მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე, ეს დღე თქვენთვის უკვე დადგა და ეს თქვენი მოქალაქეობრივი ვალიცაა. მას მოითხოვს თქვენი გვარის ტრადიციები და მემედ ბეგის აჩრდილი.

პირადად თქვენ და თქვენს გარშემო მყოფთა „ნამოღვაწარმა“ დიდი საფრთხის წინაშე დააყენა ჩვენი კუთხე. აჭარის პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოების სახელით გვინდა ხმა მოგაწვდინოთ, თუ გაიგონებთ, ხომ კარგი, თუ არა, ხალხი ბრძენია, ის თავის გასაკეთებელს მაინც გააკეთებს.

სამწუხაროა, რომ ვერ შეიღირსეთ თქვენ ხალხის პატივისცემა და დღეიდან აჭარის სათავეში მოსვლისა, მხოლოდ საკუთარი ოჯახისა და თქვენს ირგვლივ შემოკრებილი ვიწრო წრის კეთილდღეობასა და მატერიალური დოვლათის ზრდაზე ათენ-აღამებთ. მიმტევებელი და დამთმობია ჩვენი ხალხი. აკი მთელი ცამეტი წელი ითმინა კიდეც ის განუკითხაობა, უსამართლობა და ძარცვა-გლეჯა, რაც აჭარაში სუფევდა თქვენი აქტიური მონაწილეობით, თუ არა აშკარა წაყრუებით, აკი დააგროვეთ კიდეც

უზარმაზარი სიმდიდრე, ამასთან აჭარის მოსახლეობას თავს აყვედრით თქვენი დამსახურებებით.

საინტერესოა, რომელ დამსახურებაზე არის ლაპარაკი? თქვენს მიერ გარემონტებული უნივერსიტეტის ძველ კორპუსზე,თუ იმაზე,პროფესორ-მასწავლებელთა ნაწილი აღებ-მიცემობაზე რომ არის გადასული და სტუდენტ-ახალგაზრდებს თავიდანვე რომ უბილწავენ სულს თუ უახლესი ტიპის ბავშვთა ბაღზე, რომელიც ფაქტიურად „პოტიომკინის სოფლის“ მსგავსად მხოლოდ უცხოთათვის თვალში ნაცრის საყრელად გამოიყენება,თუ ტენისის კორტებზე, რომელშიც მოხვედრა აჭარის უბრალო ადამიანებისათვის მიუწვდომელ ფანტაზიას წარმოადგენს. ან იმ დამსახურებაზე ხომ არ ლაპარაკობთ, მხედრიონი რომ არ შემოუშვით აჭარაში? სამაგიეროდ საკუთარი „მხედრიონი“ შექმენით, რომელთა აღვირახსნილობა ყოველგვარ ზღვარს სცილდება. თქვენი დამსახურებაა მწერლობისა და ეკონომიკის მოშლა აჭარაში. კერძოდ, ისეთი ფლაგმანებისა, როგორიცაა: საზღვაო სანაოსნოს, ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის, თევზმჭერი ფლოტის, წვენების ქარხნის, ჩაის გადამამუშავებელი ფაბრიკის განადგურება. დროა ითქვას თქვენს მიერ უფუნქციოდ დატოვებული ტრანსფორმატორების, გემთმშენებელი და ელექტრომექანიკური ქარხნების შესახებაც, რომელი ერთი ჩამოვთვალოთ. დროა ხალხმა დაგაყვედროთ ის გაჭირვება, შიმშილი, სიცივე და ყველაფერი, რაც თქვენი მიზეზით გადაიტანა. გაჩეხილი ზღვისპირა პარკის, დანგრეული ცენტრალური სტადიონის (რომლის განახლებისათვის მილიონობით ლარი დაიხარჯა და თქვენი განკარგულებით დანგრეულ იქნა), ეშმაკის ბუდედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქცეული მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის, დამწვარი საზაფხულო თეატრისა და ცირკის შენობების, დელ-ფინარიუმის, გაუქმებული საცურაო აუზის, უდაბნოსა შინა მღაღადებლად დარჩენილი სახელმწიფო დრამატ-ული თეატრის და მრავალ სხვათა შესახებ, რომლებიც ათასობით და ასიათასობით მოზარდის სულიერი და ფიზიკური აღზრდისათვის გამოიყენებოდა. განა ხალხი გაპატიებთ აჭარის მოსახლეობის გახლეჩვას, მათი ერთი ნაწილის უკანონოდ შეიარაღებასა და იმ აგრესიულ განცხადებებს, რომ აფხაზეთისა და ოსეთის მოვლე-ნებთან აჭარის პარალელზე დაყენებას გულისხმობს. განა შეიძლება აჭარის საქართველოს შემადგენლობიდან გამოსვლაზე ლაპარაკი? ხალხი არც იმას გაპატიებთ, ყბადაღებული „თეთრი ქალაქი“ სიბნელეში ჩაფლული, ფეკალური მასითა და ამბრის სუნით გაჯერებული გულმოკლულად რომ უყურებს გაჩახჩახებული უზენ-აესი საბჭოს წინ, ხეებზე მოკიაფე ნათურებს. ან როგორ წყალს ასმევთ ქალაქის მოსახლეობას! თქვენ ახლა პატიებას უნდა სთხოვდეთ ხალხს ამდენი დანაშაუ-ლის გამო. თქვენი მოქმედებიდან კი გამოდის პირიქით, თითქოს ხალხი იქეთ გეხვეწებათ. გიჯობთ უფრო არ დაამძიმოთ სული და დროულად განერიდოთ აჭარას თქვენივე გუნდით! გაითვალისწინეთ ისიც, რომ აჭარას ბევრი სხვა მამულიშვილიც ჰყოლია, რომელთაც ქვეყნის წინაშე ნამდვილად ჰქონდათ დამსახურება. განა თქვენს წინაპრებზე ნაკლები ღვაწლი აქვთ აბუსერიძეთა, ხიმ-შიაშვილების, მამულაძეების, მიქელაძეების, თავდგირიძეე-ბის, შერვაშიძეებისა და სხვათა გვარიშვილებს? ჩამოთ-ვლა შორს წაგვიყვანს.

ჭეშმარიტად პატრიოტული საქმის კეთება მხოლოდ რჩეულთა ხვედრია, თქვენ კი რჩეულთა შორის ვერასოდეს მოიაზრებით. თქვენ, თქვენს გარემოცვაში შექმენით ჩაკეტილი სისტემა, უფსკრული ხალხსა და ხელისუფლებას შორის. თქვენს მიერ ჩატარებული არჩევნები აჭარაში მაქსიმალური და სრული გაყალბებით მიმდინარეობდა ყოველთვის და ამიტომაც ამ ხალხის რჩეული არა ხართ!

ყოველივე ამის გამო მოვითხოვთ: — გაუქმდეს „აჭარის მეთაური"-ს თანამდებობა, რათა მსგავსი ამბიციები სხვას არასოდეს გაუჩნდეს.

აჭარა უნდა მოექცეს საქართველოს კონსტიტუციურ სივრცეში ყოველგვარი დანამატებისა და დანართების გარეშე, რაც გამორიცხავს ცენტრსა და აჭარის ხელისუფლებას შორის თქვენს მიერ ხელოვნურად შექმნილ წინააღმდეგობებს (რასაც თქვენ აიგივებთ მთლიანად აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასთან).

გაუქმდეს თქვენს მიერ სრულიად უკანონოდ შემოღებული საგანგებო მდგომარეობა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში!

გაუქმდეს ყოვლად უკანონო საბინაო სერვისი, რომელიც მძიმე ტვირთად აწევს მშრომელ მოსახლეობას, რომელიც ხარკის აკრეფის კიდევ ერთი თქვენეული ხერხია.

ჩვენი უახლოესი ამოცანაა: მოვახდინოთ აჭარის პროგრესული ძალების გაერთიანება, რომ ბნელი ზრახვების ადამიანებმა ვერ შეძლონ თავიანთი ფარული საქმეების კეთება. უნდა აღვადგინოთ და დავიცვათ დემოკრატიული ფასეულობანი, მივაღწიოთ სამოქალაქო საზოგადოების დამკვიდრებას, რათა აღმოიფხვრას ყვარყვარეებისა და შადიმანების პარპაში აჭარაში და საბოლოოდ იზეიმოს

სამართლიანობამ ჩვენს კუთხეშიც, აღვადგინოთ ჩვენი დაკარგული ღირსება!

ამ სტატიამ ნამდვილად რომ ლახვარი ჩასცა რეჟიმის მომხრეებს. „აჭარა P.S.“-მა თითქოსდა დუელში გამოიწვია გაზეთი „ბათუმელები“. ამ პუბლიკაციის შემდეგ ხალხმა უფრო ინტენსიურად იწყო ჩვენს რიგებში შემოსვლა. მოდიოდნენ და აღარ ეშინოდათ რომ ისინი აბაშიძეულ „შავ სიაში“ მოხვდებოდნენ. როდესაც სტატია ოფისში ხალხის თანდასწრებით წავიკითხეთ, ახალშენის სოფლის ერთ-ერთმა მკვიდრმა შესძახა, რატომ სოფლის მეურნეობა დაავიწყდათ წერილის შემდგენლებსო, კერძოდ ის, რომ გაჩანაგებულია აჭარის სოფლებიო...

6 მაისს აჭარის მოსახლეობა აბაშიძის 13 წლიანი დიქტატორული მმართველობის რეჟიმისაგან განთავისუფლდა. გიორგობის დღესასწაულის გარიჟრაჟზე მოპოვებული გამარჯვება ხალხმა პომპეზურად იზეიმა. ცხოვრება ისევ ჩვეულებრივ კალაპოტს უბრუნდებოდა. მოიხსნა შიში, წარსულს ჩაბარდა რეჟიმის „ჩაშვებები“, მოსახლეობას მოეხსნა დაძაბულობა, ხალხი გაიხსნა ერთმანეთის მიმართ, ქობულეთში აფეთქებულ ხიდზე ისევ აღსდგა მოძრაობა, პრეზიდენტის უშუალო მონაწილეობით დაინგრა ეგრეთ წოდებული ჩოლოქის „ციტადელი“. ცხოვრება ისევ ჩვეულებრივ კალაპოტს დაუბრუნდა.

აჭარაში შემდგარმა საერთო–სახალხო რევოლუციამ დიდი რეზონანსი გამოიწვია,როგორც საქართველოში,ასევე საზღვარგარეთაც. ეს რევოლუცია თავისი მნიშვნელობით აღემატებოდა თბილისში მომხდარ ნოემბრის რევოლუციას. იგი ბევრად უფრო მძიმე პირობებში მოხდა. აჭარის მოსახლეობამ თავისი მონოლითური დარაზმულობითა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გმირული გამბედაობით ქვეყნისათვის ზიანის მომტანი, აბაშიძის სეპარატისტული რეჟიმი დაასამარა. აფეთქებულმა ხიდებმა უფრო მტკიცე ხიდები გადო აჭარასა და დანარჩენ საქართველოს შორის.

თბილისი კვლავ დაუღალავად უხდიდა მადლობას მოსკოვს აჭარული კონფლიქტის მშვიდობიანად გადაწყვეტაში გაწეული დახმარებისთვის. ამ ეტაპზე საქართველოში დარწმუნებულნი იყვნენ, რომ რუსეთს ამგვარი მშვიდობიანი ჩარევა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობის აღდგენაში დიდ როლს ითამაშებდა, მაგრამ სამწუხაროდ სამხრეთ ოსეთში განვითარებულმა მოვლენებმა გვიჩვენა, რომ რუსეთი თავის პოლიტიკას არ იცვლიდა, არ ღალატობდა მას კავკასიის მიმართ და კვლავაც მის დომინანტობაზე აცხადებდა პრეტენზიას...

ჩემი თანამებრძოლების, რიგითი აქტივისტების ბათუმის ქუჩებში თავაწეული და ამაღლებული განწყობილებით სიარული ცოტა არ იყოს ნაადრევი აღმოჩნდა...

ამავე პერიოდში აჭარაში სტუდენტი ახალგაზრდობა გამაფრთხილებელ აქციას აწყობდა. გაზეთ „ბათუმელებში“ გამოქვეყნდა სტატია სათაურით „აჭარის ძარცვა უნდა შეწყდეს“– რომელიც აჭარიდან სახელმწიფო და კერძო ქონების კანონდარღვევით გატანას აპროტესტებდნენ,რადგან იყო ფაქტები ძვირად ღირებული ბილიარდის მაგიდების,120 ცალი კომპიუტერის და სხვა ნივთების გატანის შესახებ, რომლებიც ამოღებული იქნა ასლან აბაშიძისა და სოსო გოგიტიძის ოფისებიდან. პრეზიდენტის განცხადებით ისინი სკოლებს უნდა გადასცემოდათ, მაგრამ ასე არ მოხდა. ასევე შესაბამისად დატაცებული სუვენური იარაღებიც მუზეუმს უნდა გადასცემოდა, მაგრამ არც ეს მომხდარა.

ბათუმიდან გაყვანილი იყო დაახლოებით 100–მდე ძვირადღირებული მანქანა, რომლითაც სამხედროები თბილისის ქუჩებში დასეირნობდნენ. ეს მანქანები არც უშიშროების და არც შსს–ს ფარეხში არ იყო გაჩერებული. ყველაზე მეტად შემაშფოთებელი იყო ბათუმის აეროპორტის გაძარცვა. გაურკვეველ ვითარებაში წაყვანილი იყო სამგზავრო თვითმფრინავი, რისი უფლებაც არავის ჰქონდა. ასევე გაყვანილი იყო ორი ვეტმფრენი. მოეწყო გამაფრთხილებელი აქცია, რომელიც დროებითი საბჭოსაგან სათანადო ზომების გატარებას მოითხოვდა, მაგრამ ამაოდ.

დღეს, ასლან აბაშიძის ქონების გატაცებაზე ბევრს საუბრობენ, თუმცა ოფიციოზი ამ ფაქტებს უარყოფდა და აცხადებდა, რომ ყველაფერი კანონის ჩარჩოებში იყო მოქცეული". ამავე გაზეთში გამოქვეყნდა სტატია სათაურით „წავიდა მეფე – გაუმარჯოს მეფეებს", „კმარელები" კვლავ „კმარას" შემოძახებას არ გამორიცხავდნენ. ისინი არც ახალი ხელისუფლების ნაბიჯებს მოჰყავდა აღფრთოვანებაში. მათი თქმით, სიტუაციით სარგებლობდა ბევრი უწიგნური და იბრძოდნენ – თანამდებობების დასაკავებლად. თუ საჭირო დარჩა ისევ შემოვძახებთ „კმარას" ამბობდნენ ისინი. „ერთი კლანი წავიდა – მოდის 15 კლანი". იუწყება სტატიის ავტორი ჟურნალისტი – **ლელა ღუმბაძე.**

ათი დღეც არ იყო გასული როცა „ჩვენი აჭარის" აქტივისტებმა ბათუმის მუნიციპალიტეტის შენობის წინ საპროტესტო აქცია გამართა. ქალაქის მერიას არაკაცურ, არასამართლებრივ გარიგებაში ადანაშაულებდა საკადრო ცვლილებების გამო. მომიტინგეების თქმით: – რეაგირება არასამართლებრივი გადაწყვეტილების გამო ხდებო-

პირველი რიგი – (მარცხნიდან მარჯვნივ).

ენვერ ქათამაძე, გურამ თურმანიძე, მიხეილ მახარაძე, თენგიზ ცეცხლაშვილი, ბიჭიკო დიასამიძე, რამაზ სურმანიძე, იოსებ ხიმშიაშვილი, ამირან მამულაძე, ზაზა დევაძე და გურამ ბარათაშვილი.

მეორე რიგი – (მარცხნიდან მარჯვნივ).

ზურაბ აბულაძე, რომან ფუტკარაძე, შაქრო ფუტკარაძე, სერგო დუმბაძე, ბადრი პაკსაძე, გურამ საგინაძე, იოსებ კორძაია, ზაური ბარამიძე, ზაალ ბარათაშვილი და შუქრი ფარტენაძე.

მესამე რიგი – (მარცხნიდან მარჯვნივ).

ბესარიონ შაინიძე, დურსუნ (რეშიდ) დიასამიძე, ბიძინა დუმბაძე, რამაზ გობაძე, ჯამბულ ხიმშიაშვილი, ნოდარ ირემაძე, ზებურ იაკობაძე, მინდია ცინცაძე და გიორგი პატარაძე.

ბათუმი, 27 ივლისი 2004 წელი.

(ზიან მარცხნიდან მარჯვნივ).

ვახტანგ მელუა, ტარიელ ბუჟღუაშვილი,
გიორგი კაკაბაძე და გივი მიქელაძე.

დგანან მარცხნიდან მარჯვნივ).

გურამ ხოზრევანიძე, თამაზ ხუხუნი, ნოდარ სიხარულიძე,
თამაზ ზოიძე, ილია ცხადაძე, ნუგზარ ჯინჭარაძე,
გოჩა სვანაძე და თამაზ დვალაძე.

ბათუმი, ივლისი 2004 წელი.

და. ასლანიზმის წინააღმდეგ იმიტომ არ ვიბრძოდით, რომ ისევ იგივე რეჟიმში დავრჩენილიყავით, ხოლო ისინი, ვინც თბილისში თბილად ისხდნენ, თანამდებობებზე მოსულიყვნენ, განაცხადა „ჩვენი აჭარის“ წევრმა იოსებ ბოლქვაძემ გამართულ მიტინგზე – ახალ ხელისუფლებაში ნაცნობი სახეების გამოჩენაზე...

მალე „ჩვენი აჭარას“ აქტივისტებმა წერილით მივმართედ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, გთავაზობთ წერილის ამონარიდს:

„ბატონო პრეზიდენტო

აჭარაში ვარდების რევოლუციის აქტივისტები და მონაწილენი, თქვენდამი უღრმესი პატივისცემით, სიყვარულითა თაყვანისცემით განსჭვალულნი, უდიდეს მადლობას მოგახსენებთ საქართველოსა და მისი უმშვენიერესი კუთხის – აჭარის, (შევარდნაძისა და აბაშიძის) კლანური, ტოტალიტარული მმართველობისაგან განთავისუფლების, საქართველოს მსოფლიო საზოგადოების თვალში იმიჯის და ავტორიტეტის ამაღლების, ამ კუთხის უსისხლოდ საქართველოს ერთიან სივრცეში დაბრუნების და აჭარის მოსახლეობის სიყვარულისა და კეთილ განწყობილების მოპოვების შემდეგ, ნამდვილად არ გვინდოდა აფხაზეთის, სამაჩაბლოს და ქვეყანაში არსებულ პრობლემებს, აჭარის პრობლემაც დამატებოდა, მაგრამ სამწუხაროდ ახალმა ხელისუფლებამ თითქმის უცვლელად გააგრძელა აბაშიძისეული მმართველობა. თუ მხოლოდ აბაშიძე ეწეოდა კარჩაკეტილ საქმიანობას, ამჟამად დიდი თუ პატარა მოხელის კაბინეტი ჩაკეტილია და კავშირი ხალხთან ფაქტიურად გაწყვეტილია. მოხდა საზოგადოებისათვის საეჭვო და მიუღებელი აბაშიძის კლანის ადამიანებით და ნათესავ–მე-

გობრებით სამინისტროების, უწყებების და საწარმო–ორგანიზაციების დაკომპლექტება.

აჭარაში ამჟამინდელი მდგომარეობის შეუფასებლობით იყო გამოწვეული ბათუმის ბაზარში არეულობა, ქალაქის ქუჩებში წარწერების გამოჩენა, „ასლან მოდი", „მიშა წადი".

სწორედ აღნიშნულმა მდგომარეობამ გამოიწვია მოსახლეობისა და ჩვენი სამართლიანი უკმაყოფილებაც, განგაშის ზარის ამტეხი წერილები საკმაოდ მომრავლადა პრესის ფურცლებზე. საილუსტრაციოდ გაზეთ „რეზონანსის" 6 და 7 სექტემბრის სტატიების – „აჭარა ახალი კრიშების ძიებაში" და „რა რეჟიმი მყარდება პოსტასლანისტურ აჭარაში?" იკმარებდა. გარდა ამისა არის უამრავი საგანგაშო ფაქტი, რომელთა რევიზირება და რეაგირება გადაუდებლად, სწრაფად უნდა მოხდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მოვლენები შეიძლება განვითარდეს არასახარბიელოდ. ჩვენის მხრივ გვრძნობდით რა ამჟამად შექმნილ მდგომარეობის მოახლოებას, წერილობით მივმართედ აჭარის მთავრობის და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეებს „ჩვენი აჭარის" აქტივისტებთან შეხვედრის თხოვნით და არა თუ რაიმე პრობლემის გადაწყვეტაზე, უბრალოდ ფორმალური შეხვედრაც კი ვერ მოვახერხეთ (წერილს ტექსტი თან ერთვის).

ისმის კითხვა – რამ განაპირობა ყოველივე ეს, თუ არა აჭარის მკვიდრთა მიმართ უნდობლობამ? ის ადამიანები, რომლებიც არ დაემორჩილნენ რეჟიმს, უმუშევრები ქუჩაში დადიან და არავინ სასაუბროდაც არ ღებულობს, უფრო მეტიც, თბილისიდან დაბრუნებულმა ადამიანებმა შეავსეს ძირითადი სამუშაო ადგილები, ადგილობრივი პროფესიონალი კადრები კი დარჩნენ უყურადღებოდ.

საზოგადოება აშკარად გრძნობს აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოებს შორის უთანხმოებას. თუ ვინმე მიაღწევს საკანონმდებლო ორგანომდე, თხოვნაზე პასუხი ერთია: – ,,ჩვენ არავინ არაფერს გვეკითხება, ყველა პრობლემურ საკითხებზე მიმართედ მთავრობას", ხოლო მთავრობა თავისმხრივ სხვისკენ იშვერს ხელს. რეალურად არ ჩანს საქმის პატრონი და ამ დროს ყველა სახელმწიფო ჩინოვნიკი თავის პირად საქმეს იკეთებს.

ბატონო პრეზიდენტო! გთხოვთ მოგვისმინოთ, არავინ დაგარწმუნოთ, რომ ყოველივე ეს რამდენიმე განაწყენებული ან ბედის მაძიებელი კაცის შეთხზული იყოს. მოგმართავთ ქვეყნის, თქვენდამი სიყვარულითა და პატივისცემით გამსჭვალული ათასობით ადამიანის სახელით, იმ ადამიანებისა, რომლებიც რეჟიმის სუსხიან დღეებში დარბეულ ოფისებში გარეწრების ხელით ნაკუწ–ნაკუწად დაგლეჯილ თქვენ სურათებს დიდი რუდუნებით რომ ამთელებდა და ტელევიზორში თქვენს გამოჩენისას მხურვალე ტაშით ეგებებოდა ცრემლმორეული. ისინი ენდენ თქვენს სამართლებრივ კურს და ათასობით ადამიანი გააწევრიანა ,,ჩვენი აჭარის" რიგებში,რითაც საქართველოს შეუნარჩუნა აჭარა ტრაგიკულ მომენტში.

ჩვენ უმორჩილესი თხოვნაა როგორმე გამონახოთ დრო და შეგვხდეთ აჭარის რევოლუციის აქტივისტებს. გარწმუნებთ, უშუალო, ღია საუბარი მიმართული იქნება ქვეყნის საკეთილდღეოდ, საქართველოს ხვალინდელი ბედნიერებისათვის და არავითარ შემთხვევაში არ იქნება დაფუძნებული რაიმე პირად ამბიციებზე. გვენდეთ ბატონო პრეზიდენტო ჩვენი ქვეყნის და კუთხის

ჭეშმარიტ პატრიოტებს. ჩვენ ყოველთვის უშიშრად ვებრძოდით და შევებრძოლებით უზნეობასა და ქვეყნის მტრებს. თქვენი მეთაურობით სამუდამოდ დავამარცხებთ უკანონობას.

ჩვენი მრავალათასიანი თანამოაზრეებთან ერთად მოუთმენლად ველოდებით თქვენს პასუხს, გვჯერა არ დაგვტოვებთ უყურადღებოდ. უღრმესი პატივისცემით აჭარის რევოლუციის აქტივისტები.

ამ განცხადებას ოცდაერთი აქტივისტი აწერდა ხელს: თენგიზ ცეცხლაშვილი, გურამ ხოზრევანიძე, ჯემალ მაკარაძე, ნიაზ მალაყმაძე, სერგო დუმბაძე, იოსებ მამულაძე, ლევან ხოზრევანიძე, ანზორ სოლომონიძე, გურამ სალაძე, ენვერ ქათამაძე, ილია თურმანიძე, თამაზ დავლაძე, გურამ ხიმშიაშვილი, რომან ფუტკარაძე, აწ გარდაცვლილი შუქრი ფარტენაძე, რეშიტ დიასამიძე, ნოდარ იაკობაძე, ბიძინა დუმბაძე, თამაზ გოგიბერიძე, მურმან რევაზიშვილი და ნოდარ სიხარულიძე, რომელიც მეგობრების თხოვნით პირადად ჩავიტანე და ჩავაბარე პრეზიდენტის კანცელარიაში 16. 09. 2004 წელს ნომრით 15679.

საკონტაქტო მისამართი ჩემი სახლის მისამართი და პირადი ტელეფონი გახლდათ, თუმცა არავინ დამკავშირებია და შეხვედრაც არ შემდგარა...

ერთი იყო, როდესაც პასუხს მივაკითხე კანცელარიაში ერთი თვის თავზე, იქ მომუშავე ქალბატონმა თავაზიანად გამესაუბრა, ეს იყო და ეს... (წერილის ასლი პარლამენტში – თამაზ დიასამიძეს დავუტოვე, მისივე თხოვნით).

ამ წერილთან დაკავშირებით 2009 წლის 7 მაისს მე და ჩემი მეგობარი ანზორ სოლომონიძე მიწვეული ვიყა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვით „25 არხზე“ გადაცემა „დიალოგში“, ეს ის პერიოდია, როდესაც ხელისუფლებამ წამოიწყო ახალი კომპანია „დიალოგი ხალხთან“, ჰოდა მეც ამ წერილს დღის სინათლე ვანახე და მივაწოდე „25–ე არხს“, და განუმარტე, რომ ჩვენ ადრე ვთავაზობდით ხელისუფლებას დიალოგს–მეთქი, რის შემდგომ მიმიწვიეს ტელეარხზე პოპროგრამა „დიალოგში“ მანამდე კი ინტერვიუ ჩამომართვა ამავე ტელეარხის ჟურნალისტმა, რომელიც გაშუქდა საინფორმაციო ბლოკში, სადაც აღვნიშნავდი, რომ ხელისუფლებასა და ხალხს შორის ჩატეხილია ხიდი და რაც დრო გადის ის უფრო და უფრო ღრმავდება, დიალოგის პროცესში ხალხთან მუდმივად უნდა ყოფილიყვნენ და ასეთ სავალალო მდგომარეობაში არ აღმოჩნდებოდა საზოგადოება, ხოლო ამ შედეგის მიზეზი კი თვით ხელისუფლებაა თავისი არადეკვატური რეფერმების და კანონების გატარებით.

მანამდე 2004 წლის 28 თებერვალს გაზეთმა “აჭარა P.S.”-მა გამოაქვეყნა ჩემი ინტერვიუ, გთავაზობთ მოკლე ამონარიდს ამ ინტერვიუდან.

ჟურნალისტის კითხაზე – **რამ აგიძულად რომ გაწევრიანდით მოძრაობა “ჩვენს აჭარაში?” –** ვუპასუხე: მეტსაც გეტყვით, ბატონი ასლანის სადღეგრძელოს ბათუმში ჩამოსული სხვადასხვა კუთხის შვილებთან ერთად მეც ვსვამდი, ადრე დიდ პატივს ვცემდი, მაგრამ მისი ამ ბოლოდროინდელი ნაბიჯები არ მაძლევს იმის საფუძველს, რომ მისი მხარდამჭერი ვიყო. ბევრჯერ მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, თავის დროზე მან შეინარჩუნა აჭარა, მოსალოდნელ ძალადობისაგან, მაგრამ ამჟამად მის გვერდით დგომა აღარ შეიძლება.

– როგორ ფიქრობთ, რა არის საჭირო იმისათვის, რომ ქვეყანა ერთხელ და სამუდამოდ ფეხზე დადგეს?

– მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის სიყვარული, თორემ 20 თებერვალს რაც მოხდა, ყოველგვარ ნორმებს სცილდებოდა, როდესაც ასლან აბაშიძის მომხრეებმა „ჩვენი აჭარის“ ოფისი დაარბიეს და მათ წევრებს ხელკეტებით გაუსწორდნენ, ვფიქრობ, აჭარაში სამარცხვინო რეჟიმის დასასრულის დასაწყისი დაიწყო. თუ ამ გზით იარა რეგიონმა, ხომ გადაეკიდა ნათესავი ნათესავს და ძმა ძმას... ერთხელ და სამუდამოდ, დროა ბოლო მოეღოს ამდენ უკანონობას, სიძულვილს, რაც გამეფდა ქვეყანაში. რაც შეეხება უშუალოდ ასლან აბაშიძეს, მას თავისი გარემოცვა დაღუპავს. მჯერა, ყველა საკითხი კონსტიტუციურ ჩარჩოში მოგვარდება. ერთიანობის რწმენითა და ქვეყნის სიყვარულით გახლდით რევოლუციის დღეებში თბილისში (იმ ხანად ჩემი წიგნიც იბეჭდებოდა) ბოლომდე ვესწრებოდი მიტინგებს. მინდა გითხრათ, რომ დიდ იმედებს ვამყარებ პრეზიდენტ სააკაშვილზე და ღრმად მჯერა ქვეყნის ნათელი მომავლის“.

მიუხედავად საყოველთაო შიშისა ხალხი მაინც სოლიდარობას გვიცხადებდა. მათ შორის იყვნენ ორგანოს მუშაკები, ჯარის უფროსი ოფიცრები. ისინი ჩვენდამი სიმპატიას გამოხატავდნენ, მაგრამ არ ამჟღავნებდნენ. ამ ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგ ჩემთან შეხვედრების დროს არ ერიდებოდნენ საუბარს რეჟიმის წინააღმდეგ. გვპირდებოდნენ რომ საპარლამენტო არჩევნებზე უსათუოდ ნაციონალებს მისცემდნენ ხმას, ხოლო თუ მოხდებოდა ძალისმიერი ჩარევა რეჟიმის მხრიდან, მზად იყვნენ ჩვენს გვერდით დამდგარიყვნენ. მეც აღვუთქვამდი, რომ საჭიროების შემთხვევაში ხელმძღვანელობას ჩავაყენებდი საქმის ყურში.

როდესაც სიტუაცია დაიძაბა, მე არსენ სურმანიძის მეშვეობით შევხვდი „დემოკრატიული აჭარის“ ერთ-ერთ ლიდერს ბატონ ედუარდ სურმანიძეს.

ეს ის პერიოდია, როდესაც აჭარიდან დედაქალაქში დაიწყო სამხედროების გადმოსვლა და რამდენიმე უფროსი ოფიცერი ელოდებოდა ჩემგან მითითებას (სამწუხაროდ ერთი მადგანი დღეს ამ რეჟიმის პატიმარია), თუ რა უნდა გაეკეთებინათ ექსტრემალურ სიტუაციაში. მათთან უკვე მქონდა სატელეფონო საუბრები თბილისიდან, როგორც ზემოთ ავღნიშნე, მისული ვიყავი „დემოკრატიული აჭარის“ ოფისში და იქ ეს ყოველივე ედუარდ სურმანიძის არყოფნაში მერაბ ქიძინიძეს გავანდე, მის უახლოეს თანამებრძოლს.

24 აპრილს თბილისში, „ჩვენი აჭარას“ ოფისში, შუადღისას შედგა შეხვედრა ჩემსა – ბატონი ედუარდ სურმანიძეს შორის. მან გულთბილად მიმიღო, მე აუხსენი მას, რომ ბათუმელი ოფიცრები მთავრობიდან ელოდებოდნენ მითითებებს. ყურადღებით მომისმინა, შემდეგ სათანადო მითითებაც მომცა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მხოლოდ ამის შემდგომ ბათუმის ამბები გამომკითხა, თუმცა მე დარწმუნებული ვიყავი, რომ მან ჩემზე მეტი იცოდა. ედუარდმა თავმდაბალი და უბრალო ადამიანის შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე, დამშვიდობებისას მითხრა, ძალიან მალე ერთმანეთს ბათუმში შევხვდებოდით. ისე აგვსრულებოდეს ყველას ჩანაფიქრი, როგორც ბატონ ედუარდის ეს სიტყვები აგვისრულდა. ათ დღეში ბათუმი და სრულიად აჭარა მართლაც განთავისუფლდა აბაშიძის რეჟიმისაგან.

ყოველივე ზემოდაღნიშნული იმიტომ გიამბეთ, რათა მეთქვა: როგორც თქვენ გჯეროდათ მოსალოდნელი ცვლილებებისა, მეც ასევე მჯეროდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველას გვახსოვს როგორი ენთუზიაზმით და გულანთებული შეეგება ქართველი ხალხი სააკაშვილს, მაგრამ სულ მალე თვითონ და მისმა დამქაშებმა ყოველივე ეს ბოროტად გამოიყენეს, ხოლო ხელისუფლების მხრიდან გატარებულმა კაბალურმა რეფორმებმა მოსახლეობა აიძულა პროტესტის ნიშნად გარეთ გამოსულიყო, ღიად დაეფიქსირებინა თავისი პროტესტი, რაც 2007 წლის 7 ნოემბერს მთელმა სამყარომ თვალნათლივ დაინახა. ისიც დაინახა, საქართველოს ხელისუფლებამ საკუთარი ხალხი – მოშიმშილეები, მშვიდობიანი მომიტინგეები და თავისუფალი მედია, როგორი არადამიანური მეთოდებით დაარბია, როგორ მიუშვეს გათოშილ ხალხზე წყლის ჭავლი და ცრემლსადენი გაზი, როგორ დაუშინეს მათ პლასტიკური ტყვიები და როგორ დასდევდნენ უმწეო მოხუცებსა და ბავშვებს, რომლებსაც ხელკეთებით უმოწყალოდ სცემდნენ. ამ ამარზენმა ,,სანახაობამ" კიდევ ერთხელ გაგვახსენა 1989 წლის 9 აპრილის სისხლიანი კოშმარი, განსხვავება კი მხოლოდ ისაა, რომ ამჟამად ეს შემზარავი ტრაგედია ქართველ ხალხს თავს დააატეხა მის მიერვე არჩეულმა და ქვეყნის მტრად გადაქცეულმა ხელისუფლებამ.

ცივილიზებულმა სამყარომ მკაცრი და სამართლიანი შეფასება მისცა საქართველოს ხელისუფლების მიერ ჩადენილ ამ ვანდალურ მოქმედებას. მათ შორის, ნატოს გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ საქართველოში უკანასკნელ დღეებში მიმდინარე მოვლენები არ შეესაბამება ევროატლანტიკურ ფასეულობებს.

მალე ამ მოვლენებს მოჰყვა პრეზიდენტის გადადგომა და ახალი რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც ტოტალური გაყალბებით ჩატარდა სააკაშვილი ისევ მოევლინა ქვეყანას პრეზიდენტად, რომელმაც კვლავ გააგრძელა ანტიეროვნული პოლიტიკის კურსი, ისევ აგორდა საპროტესტო აქციების ტალღა. 2009 წელს თბილისში პროტესტის ნიშნად ხალხმა საკნები დადგა, თუმცა შედეგი ვერ გამოიღო...

რაც შეეხება საქართველოს კონსტიტუციას, რბილად რომ ვთქვად მიხეილ სააკაშვილმა და მისმა გუნდმა სათავეში მოსვლისთანავე მოირგო ის თავისთავზე, თავი და თავი ყველა უბედურებისა კი სწორედაც ეს გახლავთ..

აი რას წერდა კონსტიტუციასთან მიმართებაში გაზეთ „ბათუმის ხმის“ რედაქტორი – **რობერტ ნადირაძე:**

მიუხედავად იმისა, რომ სსრ კავშირიდან მრავალი სიმახინჯე გადმოგვყვა, დღევანდელი საქართველო კომუნისტური საქართველოს სამართალმემკვიდრე არ არის, რადგან მას საბჭოთა რეჟიმი თავს ძალით მოახვიეს. მართალია, მონური წარსულიც ჩვენი წარსულია, მაგრამ სამართალმემკვიდრეობაში მონობის მოწინააღმდეგენი იგულისხმებიან და არა ისინი ვინც თანამშრომლობდა დამყრობელთან.

საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენის გზაზე დაშვებულია შეცდომები, რომლის გამოსწორება ჯერ კიდევ შეიძლება; პირველ რიგში ეს ეხება კონსტიტუციას. ამ საკითხს 1994 წელს შევეხე, ხოლო 1995 წელს, როცა საქართველო საკონსტიტუციო „ციებ–ცხელებამ“ მოიცვა. მეორე წერილი გამოვაქვეყნე სათაურით „კონსტიტუციობანას თამაში“, რაც მართლაც თამაში აღმოჩნდა, რადგან 14 წლის შემდეგ ისევ გვიხდება ახალ კონსტიტუციაზე ფიქრი.

1921 წლის კონსტიტუციაში ძირითადი 114 და 115 მუხლები იყო გადასასინჯი, რისი უფლებასაც იძლეოდა 145, 146, და 147 მუხლები.

ამჟამად მოქმედ კონსტიტუციაში, რბილად რომ ვთქვათ, ბევრი უზუსტობაა. ამგვარი მემკვიდრეობის გამო ახალ კონსტიტუციაში მრავალ ხარვეზებს ველოდები, რის შესახებაც სამწუხაროდ პოსტფაქტუმ მომიწევს მხილება.

წინსვლისთვის აუცილებელია დასავლური ორიენტაციის კურსის შენარჩუნება, ოღონდ დასავლეთს უნდა მიეთითოს ზოგი უვარგისი სტანდარტის ჩვენთვის თავზე მოხვევის გამო.

ჩვენში ორიენტაცია მონობის ფორმა ჰგონიათ. ორიენტაციის დროს ესა თუ ის სახელმწიფო თავისი საგარეო პოლიტიკის ნაწილს თმობს, ხოლო რაც შეეხება საშინაო პოლიტიკას მასში ჩარევის უფლება სხვა სახელმწიფოს არა აქვს. თავად გეორგიევსკის ტრაქტატშიც იყო ეს მუხლი ნათლად გაწერილი, ვგულისხმობ მესამე მუხლს, რომელიც რუსეთმა უსინდისოდ დაარღვია. ორიენტაციის სწორი აღქმა ცხოველსაც არ უჭირს, „ცხოველი, რომელზეც რაიმე ძლიერი გამღიზიანებელი მოქმედებს, ამბობდა დ. უზნაძე, – ისე მომართავს თავის ორგანიზმს, რომ მას სიტუაციაში მაქსიმალურად კარგი ორიენტაციის საშუალება ეძლევა.

2011 წელს კვლავ გამოვიდა მრევლი ქუჩაში და ამას მოჰყვა 21 – 26 მაისის გამოსვლები, რომელიც შავ ლაქად შევიდა საქართველოს უახლეს ისტორიაში, ამის შესახებ მოგვითხრობს ჩემს მიერ გამოცემული წიგნები: „სასიკვდილოდ გამეტებულნი“, „26 მაისის სისხლიანი კალო“ და „სისხლიანი მაისის ექო“, ამ ტრაგედიის უშუალო

მონაწილე მეც გახლდით, სადაც აღწერილია ეს მოვლენები თვითმხილველის თვალით...

ეგრეთ წოდებულ „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ პერიოდში აჭარის მოსახლეობის მამულიშვილებმა არაერთი სტატია გამოაქვეყნა ამ რეჟიმის გაუსაძლის მოვლენებთან მიმართებაში, რომელსაც უახლოეს პერიოდში შევთავაზებ მკითხველს.

აქვე მინდა მკითხველს კიდევ ერთჯერ მოკლედ შევახსენო წლების მანძილზე საქართველოს მოსახლეობის მიერ განვლილი გზა და გავაცნო 2007 წელს დაფუძნებული – „ქართული აკადემიის“ მიერ გამოქვეყნებული დეკლარაცია; სადაც ქართველი ხალხის გულისტკივილია გადმოცემული:

ვინაიდან უკანასკნელ წლებში საქართველოში მომხდარმა პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა, განსაკუთრებით კი ხელისუფლების მიერ გატარებულმა სოციალურმა, ეკონომიკურმა და კულტურულ–საგანმანათლებლო პოლიტიკამ მოსახლეობის ტოტალური გაღატაკება, უმუშევრობა, მეცნიერებისა და ხელოვნების თვალში საცემი დეგრადაცია, განათლების დონისა და ხარისხის საგრძნობი გაუარესება გამოიწვია;

ვინაიდან საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებების ფაქტობრივი უზურპაციის პირობებში ყოველგვარ ზღვარს გასცდა ხელისუფალთა სისასტიკე, ძალმომრეობა და უპატივცემულობა კონსტიტუციის, სამართალის ელემენტარული ნორმებისა და მთლიანად საზოგადოების მიმართ;

ვინაიდან სახელმწიფო მოხელეთა და სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან სისტემატური ხასიათი მი-

იღო მოქალაქეთა კერძო საკუთრების უკანონოდ ჩამორთმევა–განადგურების, ადამიანის უფლებათა დარღვევისა და თვით ადამიანთა ფიზიკური ლიკვიდაციის ფაქტებმა, რისი შედეგიცაა მოსახლეობაში გაჩენილი შიშის სინდრომი და ნიჰილიზმი;

ვინაიდან ფაქტობრივად ერთპარტიული მმართველობის პირობებში ფართო გავრცელება პოვა მნიშნელოვან სახელმწიფო და სამეურნეო თანამდებობებზე, საგანმანათლებლო, სახელოვნებო და სამეცნიერო დაწესებულებებში არაკვალიფიციური კადრების დანიშვნამ „რევოლუციური დამსახურების“ მიხედვით;

ვინაიდან უმაღლეს ხელისუფალთა პირდაპირი წაქეზებით და მითითებით ქვეყანაში მიმდინარეობს გამოცდილი კადრების პროფესიული საქმიანობისაგან ჩამოცილების პროცესი, რამაც თანდათანობით ასაკობრივი დისკრიმინაციის სახე მიიღო;

ვინაიდან მეცნიერებისა და განათლების სფეროში მიმდინარე ფსევდორეფორმა, ერთი მხრივ, იწვევს საქართველოს სამეცნიერო პოტენციალის გაფანტვას, საქვეყნოდ აღიარებული ქართული სამეცნიერო სკოლების, ხელოვნებისა და კულტურის კერების მოსპობას და, ამავე დროს, შეუძლებელს ხდის სპეციალისტთა ახალი, კვალიფიციური კადრების მომზადებას საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში;

ვინაიდან დაწყებითი და საშუალო სკოლის ეროვნულ სასწავლო გეგმებში შექმნილია სრული ინფორმაციული და მსოფლმხედველობრივი ქაოსი, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის უფროსკლასელებს დაკარგული აქვთ ნებისმიერი სხვა დისციპლინის შესწავლის მოტივა-

ცია, გარდა ერთიანი ეროვნული გამოცდებით გათვალისწინებული საგნებისა, ხოლო მკვეთრად გამოხატული ტექნიკური ან სახელოვნებო ნიჭის მქონე მოზარდებს წართმეული აქვთ სპეციალიზებულ სკოლებში სწავლის საშუალება;

ვინაიდან დაუფიქრებლად წამოწყებული და აჩქარებული ტემპით მიმდინარე ქვეყნის ხელოვნური ვესტერნიზაციის პროცესი ეროვნულ ცნობიერებას, ტრადიციულ ფასეულობებს, ჩვენს თვითმყოფადობას სრული ნიველირებით ემუქრება,

,,**ქართულ აკადემიას**" თავის მოქალაქეობრივ ვალად მიაჩნია, ფართო საზოგადოების სამსჯავროზე გამოიტანოს წინამდებარე დოკუმენტში დეკლარირებული პრინციპები და მისთვის ხელმისაწვდომი ყველა კანონიერი საშუალებით ხელი შეუწყოს ამ პრინციპების დამკვიდრებას ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მუხლი 1. ქართული საზოგადოება, ქვეყნის ყველა მოქალაქე, სქესის, ასაკის, ეთნიკური წარმომავლობის, პოლიტიკური შეხედულებებისა და აღმსარებლობის მიუხედავად, ვალდებულია ხმას იმაღლებდეს უკანონობის, ძალადობის, ადამიანის პოლიტიკური ნიშნით დევნის, მისი ღირსების, კერძო საკუთრებისა და სიცოცხლის ხელყოფის წინააღმდეგ.

მუხლი 2. ქართული საზოგადოება არ უნდა ეგუებოდეს ხელისუფლების მიერ დანერგილ შერჩევით მართლმსაჯულებას, დანაშაულის შეუსაბამო სასჯელს, როდესაც სასჯელის ტვირთი არაადეკვატურად მსუბუქია მმართველ წრეებთან დაახლოებული დამნაშავისთვის და არაპრო-

პორციულად მძიმეა დანარჩენი კატეგორიის მოქალაქეთათვის; თუ ჩვენ ევროპისა და ნატოსკენ ვისწრაფვით, მაშინ არ უნდა ვეგუებოდეთ ადამიანის უფლებათა დეკლარაციის ყოველდღიურ, ცინიკურ ფეხქვეშ გათელვას.

მუხლი 3. ქართული საზოგადოება უნდა აცნობიერებდეს ქვეყნის კონსტიტუციის დამახინჯების, კერძოდ კი 2004 წელს მიღებული ანტიდემოკრატიული შესწორებების შედეგად ხელისუფლების შტოებს შორის გაჩენილი დისბალანსის სავალალო შედეგებს და ყველაფერს უნდა აკეთებდეს მდგომარეობის გამოსასწორებლად. სწორედ ხელისუფლების დანაწილების ფუნდამენტური პრინციპის უგულებელყოფა გახდა საქართველოში ერთპარტიული, უფრო ზუსტად, ერთპიროვნული მმართველობის ჩამოყალიბების, საკანონმდებლო ხელისუფლების პარალიზების, ადგილობრივი თვითმმართველობის ფიქციად გადაქცევის, სასამართლოს, როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუციის, გაუქმებისა და მიუკერძოებული სასამართალწარმოების მოშლის მიზეზი.

მუხლი 4. ქართულმა საზოგადოებამ უნდა დაიცვას თავისი მთავარი მონაპოვარი – პროფესიონალ სპეციალისტთა კადრები – ხელისუფლებაში მოკალათებული, ტრენინგებგავლილი, მაგრამ გაუნათლებელი პედოკრატიის წნეხისაგან, აბუჩად აგდებისა და შეურაცხყოფისაგან. კადრების მხოლოდ პარტიული ნიშნით და „თავისუფლების ინსტიტუტის“ მესვეურებთან შეთანხმებით შერჩევა გამორიცხავს მეცნიერების, კულტურის, ეკონომიკის განვითარებას, ამუხრუჭებს სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას, რყვნის ახალგაზრდობას და გამოუსწორებელ ზიანს აყენებს ერის მომავალს.

მუხლი 5. ქართული საზოგადოება წინ უნდა აღუდგეს მსოფლიოში ცნობილი სამეცნიერო, სალიტერატურო და სახელოვნებო კერების მოშლას, უნივერსიტეტების ავტონომიის ფეხქვეშ გათელვასა და სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში ისეთი საგანმანათლებლო სისტემის დანერგვას, რომელიც არ იძლევა ფუნდამენტური განათლების მიღებასა და კვალიფიციური დარგობრივი სპეციალისტების მომზადების საშუალებას. მით უმეტეს, რომ ხელისუფლების მიერ რეფორმად წოდებული ძალადობრივი ღონისძიებები სრულ წინაღმდეგობაშია ევროპული უნივერსიტეტების დიდ ქარტიასთან, ლისაბონის კონვენციისა და ბოლონიის პროცესის სხვა ფუძემდებლურ დოკუმენტებთან. ჩვენ არ უნდა დავუშვათ ქართველი ერის გადაქცევა მხოლოდ მომსახურეობის სფეროში დასაქმებულ, იაფფასიანი უცხოური საქონლის მომხმარებელ მასად, რომელსაც არ შესწევს ინტელექტუალურ და სულიერ ფასეულობათა შექმნის უნარი. ეს ჩვენი ისტორიის დასასრული იქნება.

მუხლი 6. ქართული საზოგადოება გლობალიზაციის პროცესის დადებით, ყველა ხალხისა და ქვეყნისათვის სასარგებლო ასპექტებს (მაგალითად, ინფორმაციის, კაპიტალისა და შრომისუნარიან ადამიანთა ნაკადების თავისუფალ გადაადგილებას) მკაფიოდ უნდა განასხვავებდეს ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის მიზნებისაგან, რომელიც თავისი ბუნებით დაპირისპირებულია ეროვნული სახელმწიფოს ცნებასთან, ნებსით თუ უნებლიეთ, მიმართულია ეროვნული ცნობიერების წინაარმდეგ და მოწოდებულია ეროვნული კულტურების, ზნე–ჩვეულებებისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრადიციული კონფესიების ნიველირებისაკენ. ეს მხოლოდ საქართველოს პრობლემა არ არის, ეს თანამედროვე დასავლურ სამყაროში მიმდინარე ერთ–ერთი ტენდენციის კონკრეტული გამოვლენაა. ქართველმა საზოგადოებამ არ უნდა დაუშვას ქვეყნის გადაქცევა ზემოხსენებულ ძალთა საცდელ პოლიგონად, რაც ეროვნული იდენტურობის სრული გაქრობით გვემუქრება. ჩვენ წინ უნდა აღვუდგეთ ასეთ დამღუპველ ტენდენციებს და გვახსოვდეს, რომ ამ ბრძოლაში მარტონი არა ვართ, რადგან მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სულ უფრო და უფრო მეტი მოაზროვნე ადამიანი ხმამაღლა გამოთქვამს პროტესტს ამგვარი ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის წინააღმდეგ.

მუხლი 7. ამავე დროს, ქართული საზოგადოება მკვეთრად უნდა გაემიჯნოს მეორე უკიდურესობასაც და არ უნდა დაადგრს ეთნიკური, კულტურული და ეკონომიკური იზოლაციის გზას, რომელმაც შეიძლება აგრესიულ ნაციონალიზმამდე, კონფესიურ შეუწყნარებლობამდე და შუასაუკუნეობრივ სიბნელემდე მიგვიყვანოს. ჩვენ თვალი უნდა გავუსწოროთ თანამედროვეობას, გონების თვალით შევაფასოთ მსოფლიო ცივილიზაციის წიაღში მიმდინარე პროცესები, ჭეშმარიტად პროგრესიული იდეები გავარჩიოთ პროგრესის ნიღაბს ამოფარებული მერკანტილიზმისაგან და გზა გავუხსნათ ყველა იმ სიახლეს, რომელიც კულტურის, ზნეობისა და ეროვნული თვითმყოფადობის წინააღმდეგ არ არის მიმართული.

თბილისი. 12 აპრილი. 2007 წელი.

ხელს აწერენ საქართველოს ღვაწლმოსილი ადამიანები.

და ბოლოს „**თეთრების**“ მიმართვა მინდა გავაჟღერო. მიმართვა გაკეთდა მოძრაობა “თეთრების” მიერ ორგანიზებულ წიგნის “დაუჯერებელი სინამდვილე” პრეზენტაციაზე.

ქართველთა სულებში გუგუნს იწყებს ქუთაისში აფეთქებული მემორიალის შვიდი ზარი, რამეთუ როგორც პოეტი ბრძანებს იჟრუანტელეს გელათის ზართა, სული გამწარდა

ბატონებო და ქალბატონებო, ქართველებს სიცოცხლე გაუმწარეს, სრულიად საქართველოს სული გაუმწარეს, და არა მხოლოდ ქართველებს და საქართველოს შეიბილწა ის, რითაც ადამიანი განსხვავდება სხვა სულიერისაგან, შეიბილწა რწმენა, რწმენა ნებისმიერი აღმსარებლობის ადამიანისა, რამეთუ ააფეთქეს მამაღმერთის სახება;

შეურაცხოფილ იქნა ის, რაც სიმბოლოა მარადიული სიცოცხლისა და უკვდავებისა. შეურაცხოფილ იქნა დედა, რომლის მუხლებზე დაცემული, დაღუპული შვილების ღვთისათვის შემავერდებელი ქანდაკება აღგავეს პირისაგან მიწისა;

იავარქმნილი იქნა ხსოვნა ბოროტებასთან მებრძოლი ათეულ მილიონობით დაღუპულისა, რომელთა ტანჯული სულები გარს ეკრა ყოველთა ადამიანთა დედის ფიგურას;

დანგრეულ იქნა კაცობრიობის მომავლის იმედი, რამეთუ ცეცხლოვანი ხმალაღმართული მზეჭაბუკი გახლდათ სიმბოლო ერთა თანამეგობრობის ხვალინდელი დღისა.

ეს იყო წარსულის ფასეულობების და მომავლის ღირებულებების განადგურება. ძეგლად ქცეული ქართლი სული ააფეთქა ქართულმა ვანდალიზმმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ჩაიდინა ხელისუფლებამ,რომელსაც თავად არ აქვს წარსული და მომავალი და მხოლოდ დღევანდელი დღით ცხოვრობს.

ეს ჩაიდინა მეთავისე ხელისუფლებამ,რომელსაც ეზიზღება ყველა სხვა, ანუ, ვინც მათთან ერთად არ არის.

ეს ჩაიდინა ხელისუფლებამ, რომლის დღეს საქართველოში დავა სრულიად უადგილოა კითხვა – როგორ შეიძლება? საქართველოში დღეს ყველაფერი შეიძლება.

ხელისუფლებას კი თავს იმიტომ გაუვიდა, რომ არ ჩანს მოქმედება, არ ჩანს მოქალაქეობრივი პოზიცია, არ ჩანს შეუგუებლობა. დიდი მწუხარებით და სიმწრით უნდა აღვნიშნოთ: რომ ვერ ითბილისა დედა თბილისმა, ვერ იქუთაისა საამაყო ქუთაისმა, ვერ იგორა ჩვენმა გორმა, .

ძალადობით, ქურდულად, ღამის საბურველს ამოფარებულებმა თბილისიდან გაიტანეს დიდი დავითის ქანდაკება. ბათუმში ხელყოფილ იქნა მეორე წმინდანის, ილია ჭავჭავაძის ქანდაკება. გორში ცნობილ პოტსტამენტზე დგამენ სრულიად გაუგებარ, ქართული სულის შეურაცხმყოფელ გაურკვეველ ანსამბლს.

„ქართულ ბიბლიად“ და „ქართულ ფილოსოფიურ ტრაქტატად“ აღიარებული მემორიალის დანგრევა უნდა გახდეს ამ ხელისუფლების დასასრულის დასაწყისი. ამ განწყობით იყო საუბარი 2011 წლის 19 მაისს მერაბ ბერძენიშვილის „დიდების მემორიალის“ ვანდალური განადგურებისადმი მიძღვნილი წიგნის, „დაუჯერებელი სინამდვილე“ წარდგენის დროს. რომლის მონაწილეებმა მიიღეს გადაწყვეტილება, მიმართონ ქართველ ერს. აღინიშნა,რომ ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა საპროტესტო მუხტის უკიდურესად გასამწვავებლად. გაუბედურე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულ, შეურაცხყოფილ, შეშინებულ ადამიანებს, რომლებსაც წაართვეს მიწა, სარჩო-საბადებელი, სამსახური, საარსებო მინიმუმი და რაც მთავარია, ღირსება, სხვა აღარა დარჩენია რა, თუ არა მშვიდობიანი მანიფესტაციებით ქუჩაში განაგრძოს ბრძოლა.

განზე დგომა, ლოდინი, დუმილი, ღალატია როგორც საკუთარი თავის, ასევე საკუთარი შვილებისა და საზოგადოდ ერის წინაშე“.

20 მარტი 2012 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა